ჩვენი სალამი სტუდენტებს — მეცნიერების, ტექნიკისა და სპორტის მომავალს!



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

17
ნოემბერი
კვირა,
1963 წ.
№ 227 (2332)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს მედლისათვის ბრძოლა დაიწყო

15 ნოემბერს, აზერბაიჯანის დედაქალაქში — ბაქოში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის 1963 წლის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი.

კენჭისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. საერთაშორისო ოსტატი ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი), 2. საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი), 3. საერთაშორისო ოსტატი ს. როოტარე (ტალინი), 4. პირველთანრიგოსანი ლ. პოსტნიკოვა (მოსკოვი), 5. ოსტატი ე. კაკაბაძე (თბილისი), 6. საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა (მინსკი), 7. ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 8. პირველთანრიგოსანი ლ. კანტოროვიჩი (ვლადიმირი), 9. საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), 10. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ე. ბიკოვა (მოსკოვი), 11. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (სვერდლოვსკი), 12. საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა (მოსკოვი), 13. პირველთანრიგოსანი რ. კაზმინა (ჩელიაბინსკი), 14. პირველთანრიგოსანი კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), 15. პირველთანრიგოსანი ლ. შადურა (კურსკი), 16. პირველთანრიგოსანი მ. რანიკუ (ტალინი), 17. პირველთანრიგოსანი ს. ივანოვა (თბილისი), 18. პირველთანრიგოსანი ლ. ბელავენეცი (მოსკოვი), 19. საერთაშორისო ოსტატი ა. კუშნირი (მოსკოვი), 20. ოსტატი ფ. დმიტრიევა (ლენინგრადი).

გუშინ შედგა პირველი ტური.

მეგობრობის ესტაფეტა

15 ნოემბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი მიეცა მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტას, რომელმაც კურსი აიღო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ. ესტაფეტა მიაქვთ მოტომრბოლელებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. კოსმატოვი და ოსტატი ი. ხოხლოვი. ისინი და სხვა 18 მოტოციკლისტი, აგრეთვე ესტაფეტის სხვა მონაწილეები, გაივლიან რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის იმ ადგილებს, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელი პატრიოტები. თავის მხრივ ესტაფეტა მოაქვთ ჩეხოსლოვაკელებსაც. საზღვარზე მოხდება მათი გაცვლა. ღონისძიება შედის ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ერთთვიურში.

ახალი „გენერალური გეგმა“

ოლიმპიური თამაშებისათვის საბჭოთა სპორტსმენების მზადების „გენერალურ გეგმად“ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის სპორტღონისძიებათა 1964 წლის კალენდარი, რომელიც სპორტკავშირის საკავშირო საბჭომ თავისი 15 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა.

ჩვენი ოლიმპიელები ძალებს გამოსცდიან მომავალი წლის 69 ჩემპიონატში. მართალია, ზამთრის სახეობებში პირველობანი მოეწყობა „თეთრი ოლიმპიადის“ შემდეგ (გარდა ფიგურული სრიალისა), სამაგიეროდ, ინსბრუკამდე ისინი ჩაატარებენ საერთაშორისო შეხვედრებს.

აღნიშნულთა გარდა კალენდარში დიდი ყურადღება ექცევა სპორტის მასობრიობას. გაიმართება შეჯიბრებები ყველა ასაკის ადამიანებისათვის — პიონერთა საკავშირო თამაშები, სტუდენტთა თამაშები, ხანშესულთა საკავშირო დაუსწრებელი ტურნირი. დიდ ინტერესს გამოიწვევს საცხოვრებელ ადგილებთან შექმნილი ფიზკულტურული ორგანიზაციების მასობრივი შეჯიბრებანი.

ჰოკეისტთა წინასაოლიმპიადო მატჩები

ორიოდე თვის შემდეგ ინსბრუკის „თეთრ ოლიმპიადაზე“ დაიწყება ჰოკეისტთა გადამწყვეტი ბრძოლები ოლიმპიური ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ამ უდიდესი შეჯიბრებისათვის უკვე კარგახანია დაიწყეს მზადება უძლიერესმა „საჰოკეო“ სახელმწიფოებმა.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ საბჭოთა კავშირის ჰოკეის ფედერაციამ დაამტკიცა ნაკრების კანდიდატთა შემადგენლობა, რომელთაგან საუკეთესონი ინსბრუკში დაიცავენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას და გასულ წელს მოპოვებულ მსოფლიოს ჩემპიონთა პრესტიჟს. ანალოგიური ღონისძიებები გატარდა კანადაშიც — საერთაშორისო ჰოკეის ამ ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანაში. პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში ცალკეული გაძლიერებული სპორტული კლუბის გუნდის ნაცვლად ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იქნება ნაკრები კოლექტივი. კანადის ნაკრები ძირითადად დაკომპლექტდა ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი ჰოკეისტებისაგან, რომლებიც უკვე საკმაო ხანია გადიან ერთობლივ წვრთნას და ატარებენ საკონტროლო მატჩებს. ამას წინათ ნაკრები შეხვდა კანადის განთქმულ საკლუბო გუნდს — „ვინიპეგ მარუნსს“ და ფრედ — 1:1 დაამთავრა მატჩი. ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული ნაკრების მეორე შეხვედრაში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — „ჩატამ მარუნსთან“. ინტერესსმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ, რომ გასულ წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კანადაში ტურნეს დროს ანგარიშით 3:0 დაამარცხა იგივე „ჩატამ მარუნსი“.

15 ნოემბერს კანადის გუნდმა „ვინძორ ბულდოსმა“ მოსკოვში ჩაატარა პირველი მატჩი ადგილობრივ „დინამოსთან“. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 4:3 (1:1, 2:1, 1:1).

ჩემპიონი მუშებთან

დიდიხანია ქუთაისის საზოგადოებრიობა ელოდა შეხვედრას ნ. გაფრინდაშვილთან. ამას წინათ ქუთაისის საზოგადოება „კოლხას“ საქალაქო განყოფილების მიწვევით ქუთაისში რამდენიმე დღით ჩავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი თ. გიორგაძე.

მსოფლიო ჩემპიონს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ავტოქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, ლიტოპონის ქარხნის, მე-4 სამკერვალო ფაბრიკის, პირველი და მეორე კლინიკური საავადმყოფოს, სამთო და სატყეო ტექნიკუმების მუშა-მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, ექიმებმა, სტუდენტებმა და პიონერთა სასახლის აღსაზრდელებმა. შეხვედრებზე თ. გიორგაძე დამსწრეებს მოუთხრობდა ნ. გაფრინდაშვილის ბრძოლაზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის, 1963 წლის დიდ ტურნირებში მისი გამოსვლებისა და უახლოესი პერსპექტივების შესახებ. მსოფლიო ჩემპიონი გულშემატკივრებს უზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს იუგოსლავიაში გამართულ მსოფლიოს 11 საჭადრაკო ოლიმპიადის შესახებ.

ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მსოფლიოს ჩემპიონის ერთდროული თამაშის სეანსებმა, ისე ქუთაისში პირველად მოწყობილმა მისმა ალტერნატიულმა ერთდროული თამაშის სეანსებმა. სეანსებში პარტიის მოგება შეძლეს ი. კოლუაშვილმა (ავტოქარხანა), ა. გვენცაძემ (ლიტოპონის ქარხანა) და გ. ქათამაძემ (პიონერთა სასახლე). ყაიმს მიაღწიეს მ. ხურცილავამ (ავტოქარხანა), კ. ძოწენიძემ, ჩ. ბუზიაშვილმა (მეორე საავადმყოფო), მ. გრიგოლაშვილმა (აბრეშუმის კომბინატი), ვ. ბოგატიშვილმა (სამთო ტექნიკუმი), ა. მუმლაძემ (ლიტოპონის ქარხანა), ნ. ნაცვლიშვილმა (პირველი საავადმყოფო), ა. სტურუამ (სამკერვალო ფაბრიკა), რ. ძირელაშვილმა, დ. და ი. ტერ-აბრამოვებმა.

სურათზე. ნ. გაფრინდაშვილი ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს ლიტოპონის ქარხნის თანამშრომლებთან.

ფოტო ბ. [illegible]

დღეს!

21 საათსა და 55 წუთზე ტელეეკრანზე იხილეთ ინგლისის ნაკრებისა და ფიფა-ს ნაკრების მატჩი, გადაღებული კინოფირზე.

რა გააკეთე შენი სოფლისათვის?

[illegible] ახალგაზრდათა გარკვეული ნაწილი, რომელიც სიტყვით მთებს აბრუნებს, სხვისაგან ბევრის გაკეთებას მოითხოვს და როცა საქმე საქმეზე მიდგება, საკუთარ მეობას ჩრდილში მალავს.

ასეთთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის წევრთა უმეტესობა. ოდესღაც ეს კოლექტივი რაიონულ სპორტულ ღონისძიებებზე საპრიზო ადგილებს არ სცილდებოდა, მაგრამ შემდეგში ეს ალტკინება ჩაქრა და სხვა კოლექტივის წევრები ცხემლისხიდელებს მეტოქეებადაც კი არ მოიხსენიებენ ხოლმე სავარაუდო პროგნოზების შედგენის დროს.

ჩაიშალა სექციური მუშაობა, წელს ამ ფიზკულტურულ კოლექტივს არც ერთ შეჯიბრებაში არ მიუღია მონაწილეობა და ატყდა განგაში: „არიქათ, ვიღუპებით, საქმეს უნდა მივხედოთო“. ტონის მიმცემნი ცხემლისხიდელი კომკავშირელები და ახალგაზრდები იყვნენ.

ისინი ახალგაზრდული შემართებით გამოვიდნენ პარტიულ ღია კრებაზე, როცა ივნისის პლენუმის შედეგები იხილებოდა და დაუფარავად აღნიშნეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჯ. ხომერიკის ინერტული დამოკიდებულება ფიზკულტურული საქმიანობისადმი.

ახალგაზრდები მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ და კომკავშირულ კრებაზე სპეციალური დადგენილება მიიღეს სპორტული ინვენტარის შესაძენად. კოლმეურნეობის გამგეობამ სპორტის მოყვარულთა ამჯერად ანგარიში გაუწია და დამატებით 500 მანეთის ინვენტარი შეუძინა. შედეგი? მკითხველი ალბათ მოელის, რომ თავმჯდომარის „გადმობრძნების“ შემდეგ სექციური მუშაობა გაიფურჩქნებოდა, „კოლმეურნის“ წევრთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდებოდა, იქაური სპორტსმენები დაიბრუნებდნენ დაკარგულ პოზიციებს რაიონულ შეჯიბრებებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა არ შეცვლილა, თუმცა მის შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

როცა სპორტულ ბაზებს შევეხეთ, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ც. ქლენტმა საკოლმეურნეო კანტორის ფანჯრიდან დაგვანახა ფრენბურთის მოედანი. იგი წარმოადგენდა საკმაოდ ლამაზ და ხელსაყრელ ადგილზე შერჩეულ საჭირო ფართობს. მოედანი კი მას მხოლოდ პირობითად დაერქმეოდა, რადგან მუხლამდე ბალახს ალაგ-ალაგ ქვის ნაყარიც „ამშვენებდა“ და მხოლოდ ორი გადაქცეული ბოძის ნახვით მიხვდებოდა კაცი, რომ ც. ქლენტი ამ ადგილში ფრენბურთის მოედანს გულისხმობდა.

განა იმ კრებებისა და მიღებული დადგენილებების შემდეგ ახალგაზრდობას გაუჭირდა ერთი მოედნის მოწყობა? განა იმიტომ შეიძინეს ფრენბურთის ახალი ბადე, რომ იგი გაუხსნელად დაობდეს საწყობში? კოლმეურნეობაში 33 კომკავშირელია, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ ახალგაზრდებზე, საკუთარი გართობისათვის, ფიზიკური გაჯანსაღებისა და სპორტული შეჯიბრებებისათვის თუ ვერ მოიცალეს, თავიანთ უუნარობას რატომ აბრალებენ სხვებს?

ცხემლისხიდს გააჩნია საშუალო სკოლის კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები. სკოლის ფეხბურთის მოედანს რაიონის ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაცია ინატრებდა, მძლეოსნური მოედანი კი შეიძლება თითით საჩვენებლად ჩაითვალოს რესპუბლიკური მასშტაბით.

ფიზკულტურის მასწავლებელს გ. გვარჯალაძეს თავისი საქმე მართლაც საათივით აქვს აწყობილი და კარგ შედეგებსაც აღწევს. სოფლის სკოლების მძლეოსანთა რესპუბლიკურ პირველობაზე 1960 წელს ცხემლისხიდელმა მოსწავლეებმა პირველი ადგილი დაიკავეს, მომდევნო წელს მათ სასკოლო გუნდებში მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ნაკრებ გუნდებს შორის — პირველი.

გასულ წელს ამ კოლექტივმა ნაკრებ გუნდებს შორის კვლავ პირველობა მოიპოვა. პიონერთა საიუბილეო სპორტულ თამაშებზე ცხემლისხიდელ გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა საუკეთესოთა სახელები მოიპოვეს, ხოლო ვორონეჟში გამართულ საკავშირო პირველობაზე — მესამე საპრიზო ადგილი.

ამ ფაქტიდან ადვილად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ცხემლისხიდში საკმაოდ ძლიერი სპორტული კონტიგენტია და საჭიროა მისი ამოქმედება. ახალგაზრდათა ქაოტურ და ეპიზოდურ ვარჯიშებს ერთიან არხში უნდა მოყვანა.

ეს, რასაკვირველია, კოლმეურნეობის გამგეობისთვისაც ცნობილია და მან გადადგა კიდეც ნაბიჯი ამ მიმართებით. კერძოდ, ფიზკულტურული საქმიანობის სათანადო დონეზე ასაწევად საუკეთესო კანდიდატურა შეარჩია და ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადება გ. გვარჯალაძეს შესთავაზა.

მოსალოდნელი იყო, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო და ამავე დროს ახალგაზრდა მწვრთნელი გ. გვარჯალაძე სიამოვნებით ჩადგებოდა თანასოფლელი ახალგაზრდების ფიზიკურად გაჯანსაღების საქმეში, მაგრამ მან სხვა თვალით შეხედა ამ წინადადებას:

— მე უფროსი მასწავლებელი ვარ, მაფასებენ. თბილისის სპორტსკოლის ფილიალმა დამატებითი ჯგუფებიც გამიხსნა ჩემივე მოსწავლეების მოსამზადებლად და კოლმეურნეობის გამგეობის შემოთავაზებულმა [illegible] გასამრჯელომ [illegible]

მოკლედ, გ. გვარჯალაძემ „ჩიტი ბდღვნად არ ღირსო“ და უარით გაისტუმრა მასთან მისული ახალგაზრდები.

განა ფიზკულტურის სპეციალისტის ღირსება მარტო ის არის, რომ მისი აღზრდილი ცალკეული სპორტსმენები რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე გამოვიდნენ? ცხემლისხიდელი მოსწავლეებით ჩვენც ვამაყობთ. მაგრამ განა უფრო საამაყო არ იქნება თუ იგივე ცხემლისხიდის კოლმეურნეები რაიონული მასშტაბით მაინც გამოჩნდებიან სპორტულ სარბიელზე?

ვთქვათ სკოლის ნაკრების წევრებიდან ი. ცერცვაძემ, გ. თამამაშვილმა, შალვა და ილია ღლონტებმა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში სამუშაოდ დარჩენა განიზრახეს. განა ისინი უმეთვალყუროდ უნდა დატოვოს მათმა ყოფილმა მწვრთნელმა მხოლოდ იმიტომ, რომ მის სახელს არაფერს შემატებენ?

ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ გ. გვარჯალაძე ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მან ეს საქმით დაამტკიცა. მაშ, დაამტკიცოს, რომ საუკეთესო მამულიშვილიცაა და მიხედოს კოლმეურნე ფიზკულტურელებს. მოკლედ, არ გვინდა მასზე თქვან: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არრა იზრუნოს“.

გ. სამსონაძე

სოფლის
კოლექტივებში

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე მოსახლეობის ფიზიკურად გამოწრთობაზე ზრუნვა ყველა ორგანიზაციის საპატიო ამოცანაა. ამ მხრივ სათანადო ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წინაშეც — ქმედითი დახმარება გაუწიონ პირველად ორგანიზაციებს მოსახლეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში, სამუშაოდან თავისუფალ საათებში მშრომელებთან, დიასახლისებთან, ბავშვებთან, სახლმმართველობებში თუ ეზოებში ჩაატარონ მასობრივი ღონისძიებანი, ტურისტული ლაშქრობანი, შეჯიბრებები მშთ მრავალჭიდში, სპარტაკიადები და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ფიზკულტურის ასეთი ფორმა ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანებამდე საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სახლმმართველობებთან, ეზოებში მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის გასულ წელს გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ გამოაცხადა შეჯიბრება და დააწესა სპეციალური პრიზები საუკეთესოთა დასაჯილდოებლად, რასაც მხარი დაუჭირა საქართველოს სპორტკავშირმაც, ხოლო 1962 წ. 26 სექტემბრის „ლელოში“ დაიბეჭდა დებულებაც.

წამოწყებამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო. რესპუბლიკაში გაჩნდნენ პირველი მერცხლები, სადაც ხელი მოჰკიდეს მარტივი ბაზების მოწყობას სახლმმართველობებთან, ცალკეულ ეზოებში. ასეთი ბაზები თბილისში რამდენიმე ადგილას მოეწყო ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, პავლოვის ქუჩაზე, აზიზბეკოვის ქუჩაზე და სხვაგან, მაგრამ ყველა ეს წვეთია ზღვაში.

დროა ყველგან სათანადო ყურადღებით მოვეპყროთ სახლმმართველობებთან და ცალკეულ ეზოებში ბაზების მოწყობას, შევქმნათ ორგანიზებული გუნდები, ფიზკულტურასა და სპორტში ჩავაბათ ყველა. ხოლო გაწეული მუშაობის ამსახველი მასალები წარვადგინოთ გაზეთ „ლელოს“ კონკურსისათვის.

მოვაწყოთ ეზოებში სპორტული მოედნები

ასეთ ეზოს იშვიათად ნახავთ თბილისში. ვისაც ჩვენი დედაქალაქის საბურთალოს ახალ უბანში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გაუვლია, სასტუმრო „აფხაზეთის“ პირდაპირ შეამჩნევდა ბავშვებს, რომლებიც შესევიან ეზოში განლაგებულ საქანელებს, გიგანტურ ნაბიჯებს... ერთის შეხედვით, ეზო იმ კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც პატარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი, სინამდვილეში კი...

სამიოდე წლის წინათ შევიდა ექსპლოატაციაში ახალი მრავალსართულიანი სახლები პავლოვის ქუჩაზე (№ 17-19). აქ ერთადაა თავმოყრილი „ზაკტრანსსტროის“ ლითონმომარაგების, მხატვართა, კავშირგაბმულობისა და სხვა ორგანიზაციების მუშაკთა ასობით ოჯახი მრავალრიცხოვანი აღსაზრდელებით, მაგრამ მშენებლებს ერთხელაც არ მოგონებიათ, რომ ნორჩ მობინადრეებს სჭირდებოდათ გასართობი ნაგებობანიც.

ერთხანს პატარებმა თვითონ მონახეს გამოსავალი — მოუწყობელ ეზოში იწყეს მიწის კოშკების, „სასახლეების“ აგება, შედარებით მოზრდილები ქუჩის ხშირი სტუმრები გახდნენ, რაც საფრთხით ემუქრებოდა მათ სიცოცხლეს. და ასე იყო, ვიდრე პატარებს დახმარების ხელი არ გაუწოდა „ზაკტრანსსტროის“ ტრესტის ყოფილმა მთავარმა მექანიკოსმა, ამჟამად პენსიონერმა ტ. კანუკოვმა. მან თვითონ დაამუშავა საბავშვო გასართობების პროექტები და „ზაკტრანსსტროის“ უფროსის ა. ცატუროვის, ავტობაზის უფროსის კ. მორჩილაძის, მარნეულის საამშენებლო უბნის უფროსის ი. ცეცაძის, უფროსი ინჟინერის ა. ცირიულნიკოვასა და სხვათა მხარდაჭერით საცხოვრებლის ეზოში თავისივე მეთვალყურეობით თანდათან მწყობრში ჩააყენა ნაგებობათა ნაწილი.

პატარების წინაშე საკმაო ასპარეზი გადაიშალა, მალე ამ ეზოს ესტუმრნენ მეზობელი სახლებიდანაც. ისე რომ, უკვე მოწყობილი ნაგებობანი ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, საჭირო გახდა ახალი ნაგებობანი და კმაყოფილი ტ. კანუკოვიც შეუდგა საქმეს. პატარების ამ ქომაგსაც შედარებით მოზრდილების ინტერესები დავიწყებია. განიზრახა მცირე ზომის ფეხბურთის მოედნის მოწყობა და შეასრულა კიდევაც, ისე რომ, ახლა აქ შესანიშნავი კომპლექსური ბაზაა. მალე მწყობრში ჩადგება კალათბურთის მოედანი.

ტ. კანუკოვის ჩანაფიქრი მთლიანად ჯერ კიდევ არაა ხორცშესხმული. მუშაობა გრძელდება, კვლავ მუშაობენ თვითმცლელები და ექსკავატორები, სწორდება მიწა, მზადდება ნიადაგი ახალი ნაგებობებისათვის.

ერთი სიტყვით, ეს ეზო შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს თბილისში ახალგაზრდობის ფიზიკური წვრთნებისათვის საჭირო ბაზების მოწყობის თვალსაზრისით, მაგრამ განა შესანიშნავი არ იქნებოდა აქ მცხოვრებთაგან ვინმე სხვასაც გამოეჩინა ტ. კანუკოვის მსგავსი ინიციატივა, სათავეში ჩადგომოდა ეზოს ახალგაზრდებსა და ორგანიზებული სახე მიეცა მათი ფიზკულტურითა და სპორტით გატაცებისათვის, შეექმნა ორგანიზებული გუნდები ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, მძლეოსნობაში, შემდეგ კი ძალები ეცადათ სხვა ეზოების წარმომადგენლებთან?

კარგი იქნებოდა, თუ ამ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევდა ჩვენი დედაქალაქის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სპორტკავშირიც, იზრუნებდა პავლოვის ქ. № 17-19-ში მცხოვრებლების მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დანერგვისათვის და შემდეგ თანდათან მათ გამოცდილებას გაავრცელებდა სხვა ეზოებზეც.

სამწუხაროდ, რაიონის სპორტკავშირის მუშაკები ამ საკითხით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი.

ო. გელაშვილი

• • •

პავლოვის ქ. №17-19

სურათებზე: მარცხნივ ზევით — აი ის სახლი, რომლის ეზოში მოწყობილია სათანადო ბაზები. **ქვევით** — სამუშაოები გრძელდება. **სურათებზე მარჯვნივ** აღბეჭდილია პატარების მორიგი „წვრთნა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახანს დამთავრდა რესპუბლიკის მეორე პირველობა ცხენოსნური სპორტის ეროვნულ სახეობებში.

სურათებზე: მარცხნივ — შეჯიბრების მომენტი ისინდში გუდაუთის რაიონისა და ფოთის გუნდებს შორის. მარჯვნივ — ასპარეზობის მომენტი ცხენბურთში გუდაუთისა და მახარაძის რაიონების გუნდებს შორის.

ფოტო ვ. ხემიონოვისა.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი კომენტარს უკეთებს რომის შემადგენლობას

რატომ არ ითამაშა პონედელნიკმა...

★

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში მოდიოდა წერილები წარწერით: „მოსკოვი, ბესკოვს!“ ამ წერილებში იყო მილოცვები მოსკოვში იტალიელებთან მოგებული მატჩის თაობაზე და აგრეთვე სურვილები, რომ ეს წარმატება განმეორებულიყო, რომში — მეორე მატჩზე. იყო კრიტიკული სტრიქონებიც. ასე მაგალითად, კუიბიშევის ოლქის ქალაქ ჟიგულევსკიდან გორინი წერდა, რომ „მოსკოვში ჩატარებული მატჩის დროს შეიძლებოდა კიდევ 2-3 ბურთის გატანა“.

განსაკუთრებულ ყურადღებას ბესკოვის კორესპონდენტები აქცევდნენ ჩვენი ნაკრების შემადგენლობის საკითხს. იყო მრავალი სურვილი, რჩევა, ასე წარმოიდგინეთ, კატეგორიული მოთხოვნები და წმინდა დიპლომატური მსჯელობაც. ფეხბურთის მოყვარული დნეპროპეტროვსკიდან, 76 წლის გ. კრიჩევსკი გადაჭრით არ მოითხოვდა, რომ ჰუსაინოვს მეორე მატჩში ეთამაშა, მაგრამ წერდა: „ნება მომეცით მოგილოცოთ გამარჯვება, გადავეხვიო ყველას მაგრად და სამგზის გადავკოცნო, განსაკუთრებით კი ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ჰუსაინოვი — ლამაზი შეტევების დაუზარებელი ორგანიზატორი“.

ვერცერთმა გულშემატკივარმა, როგორც ეს წერილებიდან ჩანს, ვერ ამოიცნო საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც რომის მატჩზე გავიდა: იაშინი, მუდრიკი, შესტერნევი, შუსტიკოვი, კრუტიკოვი, ვორონინი, კოროლენკოვი, ჩისლენკო, ივანოვი, გუსაროვი და ჰუსაინოვი. ეს გასაკვირიც არაა, რადგან მოთამაშეთა შერჩევა ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის ძალზე რთული საქმე იყო. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სპორტის მოყვარულთათვის ცნობილი არაა — ფეხბურთელის მდგომარეობა თამაშის დღეს, მეტოქეთა კონტრმოქმედებანი უკანასკნელ მომენტში და ა. შ.

— როგორც გამოირკვა, — მიამბო მოსკოვში დაბრუნების შემდეგ თვითონ ბესკოვმა, — ჩვენი გუნდის შემადგენლობა მოულოდნელი აღმოჩნდა თვით იტალიელთა მწვრთნელ ე. ფაბრისათვისაც. ურუშაძის ნაცვლად კარში დადგა იაშინი, რომელსაც აქამდე შესაძლებლობა ჰქონდა დაესვენა და მატჩისათვის კარგად მომზადებულიყო. ტულუზაში 6 ნოემბერს საწვრთნელ შეხვედრაზეც კი არ შევგიწუხებია იგი. მან ამით შეინარჩუნა ძალები და ბრწყინვალედ ითამაშა რომში. მუდრიკს, რომელმაც შეცვალა ტრავმირებული დუბინსკი, მე დიდი ხანია ვაკვირდებოდი. შემადგენლობაში მისი შეყვანა გამართლებული გამოდგა, მან კარგად ითამაშა. ბევრი ამხანაგი მირჩევდა, რომ ნაკრებში არ შემეყვანა შუსტიკოვი. მე კი მჯეროდა მისი, რადგან იშვიათად მინახია ასეთი აუღელვებელი ფეხბურთელი ყოველნაირ რთულ სიტუაციაში. გუნდში შუსტიკოვის მოსვლის შედეგად ვორონინი გადავიყვანეთ ნახევარდაცვაში, რადგან იგი ამ ამპლუაში გაცილებით ძლიერია.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ რომში გვეთამაშა ოთხი ფორვარდით. მოსკოვში სუსტად გამოსვლის შემდეგ მეტრეველის კანდიდატურა მოიხსნა. ბევრს ვფიქრობდით პონედელნიკისა და ჰუსაინოვის შესახებ. მოსკოვში მათ ბრწყინვალედ ითამაშეს და ფაბრიმ ისინი „ნიშანში ამოიღო“. ბუნებრივია, რომ ფაბრი მათ განსაკუთრებულ მეურვეებს მიუჩენდა. ამასთან დაკავშირებით, თადარიგში გვქონდა სიურპრიზი: პონედელნიკის მაგიერ მოედანზე გამოვიდა გუსაროვი. საბოლოოდ ჰუსაინოვი ჩვენ არ შევცვალეთ, თუმცა იგი საკმაოდ გადაღლილი იყო და ვფიქრობ, რომ შეცდომა დავუშვით. ეს განსაკუთრებით თვალში გვხვდებოდა თამაშის დროს. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჰუსაინოვის მეურვედ გამოყოფილი იყო იტალიელთა ძალზე ძლიერი დაცვის მოთამაშე.

— ვსარგებლობ შემთხვევით, — თქვა ბესკოვმა, — რომ მადლობა გადავუხადო ყველა გულშემატკივარს, რომელთა ყურადღებასა და მხარდაჭერას ვგრძნობდით როგორც მოსკოვში, ისე რომში და რამაც ძალზე დიდი დახმარება გაგვიწია ევროპის თასზე მატჩებში პირველი წარმატების მოპოვებაში.

ფეხბურთის მოყვარულებს უთუოდ აინტერესებთ, როგორ შეაფასა ჩვენი ფეხბურთელების თამაში საკმაოდ მიკერძოებულმა იტალიურმა პრესამ (იტალიელები შეფასების დროს იყენებენ ათბალიან სისტემას): იაშინი — 10, მუდრიკი — 7, შესტერნევი — 7, შუსტიკოვი — 6, კრუტიკოვი — 6, ვორონინი — 7, კოროლენკოვი — 6, ჩისლენკო — 7, ივანოვი — 7, გუსაროვი — 6, ჰუსაინოვი — 4 (იტალიელთა გუნდიდან არცერთ მოთამაშეს შვიდ ბალზე მეტი არ მიუღია). ბესკოვის აზრით მუდრიკს, შუსტიკოვს და ჩისლენკოს შეფასებები ძალზე დაბალი აქვთ — მათ უკეთ ითამაშეს.

ვ. დვორცოვი,
საკდეხის კორესპონდენტი.



წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე ოთხი სადიპლომო ნამუშევარი სპორტს მიეძღვნა. სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა „ცხენბურთმა“, „მოცურავე გოგონამ“, „მოკრივემ“ და „მოჭიდავემ“. ამ უკანასკნელის ავტორია თ. კიკალეიშვილი.

ავტორმა ძერწვის კარგი მანერით, სადა და ძალდაუტანებელი კომპოზიციით შექმნა მოჭიდავის მეტყველი სურათი, გადმოგვცა მოჭიდავის სპორტული ცხოვრების მომენტი. ფიგურა რეალისტურ გამაშია გადაწყვეტილი და მნახველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ასეთი სკულპტურის შექმნა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა მოქანდაკემ ეს რთული ამოცანა წარმატებით დაძლია.

* * *

სურათზე: თ. კიკალეიშვილის „მოჭიდავე“.

ს. ნაციაშვილი

ტურნირი და მისი შედეგები

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე დამთავრდა იუნიორთა საქალაქო ტურნირი მძლეოსნობაში. ღონისძიება მიზნად ისახავდა უძლიერესთა შერჩევას რესპუბლიკური პირველობისათვის, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება და ამდენად ერთ მეტად საჭირო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

მისასალმებელია, რომ თბილისის სპორტკავშირმა ასე ადრე გამართა შესაბამისი ღონისძიება და მისი მუშაკები ვარაუდობდნენ, რომ შედეგებიც სათანადო იქნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. განსაკუთრებით სამწუხაროა ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა რამდენიმე ისეთი სპორტსმენი, რომლებსაც გამარჯვებისა და უდაოდ უკეთესი შედეგის ჩვენების შესაძლებლობა ჰქონდათ. მაგალითისათვის ავიღოთ პედინსტიტუტის სტუდენტი ა. ობიდკო. იგი თბილისის ჩემპიონია გოგონათა შორის ბირთვის კვრაში. ამ შეჯიბრებაში არ გამოვიდა, რადგან პედინსტიტუტმა საერთოდ ვერ შეძლო კოლექტივის გამოყვანა.

შეჯიბრების მესამე დღეს პროგრამის 8 სახეობაში უძლიერესთაგან მხოლოდ ორმა ჩემპიონმა აჩვენა მეორე თანრიგის შედეგი. ერთი მათგანი (გ. დუმბაძე) უნივერსიტეტის სტუდენტია, რომელმაც მოიგო ვაჟთა 400 მ რბენა—50,3, ხოლო მეორე (გ. ძაველური)—პოლიტექნიკური ინსტიტუტისა. იგი უძლიერესი იყო ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში—59.70. მართალია შუბის ტყორცნაში მეორე თანრიგები აჩვენეს სხვა პრიზიორებმაც—დ. ყოჩიაშვილმა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი)—55,23 და ა. სანაკოევამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 55,11 მ, მაგრამ მხოლოდ 4 მეორე თანრიგი ერთობ მოკრძალებული შედეგია.

უფრო სავალალო შედეგს ჰქონდა ადგილი ქალთა 400 მეტრზე რბენასა და სამხტომში. რბენაში ა. ფომინამ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) ჩემპიონობა მოიპოვა ისე რომ, მისი მაჩვენებელი 400 მეტრზე — 1.07,7 არავითარ თანრიგს არ შეესაბამება.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უნივერსიტეტის კოლექტივმა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	34	20	10	4	45—14	50
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	35	21	6	8	59—28	48
„დინამო“ (მინსკი)	37	18	11	8	47—27	47
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	38	14	17	7	45—32	45
სკა (როსტოვი)	36	18	7	11	67—38	43
„დინამო“ (კიევი)	35	16	11	8	67—45	43
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	36	18	7	11	47—43	43
ცსკა	35	13	16	6	35—23	42
„დინამო“ (თბილისი)	35	15	12	8	49—39	42
„ტორპედო“ (მოსკოვი)	35	12	14	9	44—36	38
„შახტიორი“ (დონეცკი)	36	11	13	12	27—30	35
„კაირატი“ (ალმა-ატა)	37	10	11	16	28—47	31
„ტორპედო“ (ქუთაისი)	35	6	18	11	21—36	30
„დინამო“ (ლენინგრადი)	37	7	15	15	37—47	29
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	36	5	18	13	35—50	28
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	35	7	14	14	26—43	28
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	36	10	6	20	41—53	26
„არარატი“ (ერევანი)	36	9	8	19	34—53	26
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	38	6	13	19	25—56	25
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	36	4	11	21	39—78	19

• • •

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-სკა (როსტოვი) — 1:5
„დინამო“ (მოსკოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 1:0

დამარცხება მინსკში

გუშინდელ მატჩს თბილისის დინამოელებისათვის მინსკში ადგილობრივ „დინამოსთან“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მოგების შემთხვევაში თბილისელები მტკიცედ ინარჩუნებდნენ საპრიზო — მესამე ადგილისათვის ბრძოლის შანსებს და რა თქმა უნდა, საგრძნობლად იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას გათამაშების ცხრილში.

მაგრამ მოხდა პირიქით. თბილისელებმა დასაწყისში სწრაფი ტემპი შეთავაზეს მინსკელებს და ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ მესხის და მეტრეველის გადაცემებს ცენტრში ვერ იღებდნენ პარტნიორები. სტუმრების დაცვა მოქმედებდა უშეცდომოდ. მოიგერიეს რა პირველი შეტევები, მასპინძლები გადავიდნენ კონტრიერიშზე. მთელი დატვირთვით ათამაშდა თბილისელთა დაცვა. სახიფათოდ გადიოდნენ მინსკელთა ფორვარდები თბილისელთა საჯარიმო მოედანზე და 25-ე წუთზე მუსტიგინმა, რომელმაც კარგად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს, ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ტაიმში სურათი აღარ შეცვლილა. ინიციატივა კვლავ მასპინძლების მხარეს იყო, ხოლო თბილისელთა ეპიზოდური იერიშები აღარ წარმოადგენდა მინსკელთათვის პრობლემას. 67-ე წუთზე, საჯარიმო, რომელიც დაინიშნა თბილისელთა კარისაკენ, კვლავ, კარგად გამოიყენა იგივე მუსტიგინმა და ძლიერი დარტყმით კარის მაღალ კუთხეში მეორე ბურთი მოათავსა — 2:0.

ამის შემდეგ თამაშში სიმწვავე აღარ იგრძნობოდა. თბილისელები აღარ ცდილან რაიმე ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, მაშინ, როდესაც მინსკელები კვლავ აგრესიულად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. 83-ე წუთზე ადამოვის მოწოდებიდან მალაფეევმა ძლიერი დარტყმით მესამე ბურთი გაახვია თბილისელთა კარში.

გაიმარჯვეს მინსკელებმა — 3:0.

ჩვენი გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, ბარქაია, მეტრეველი, მელაშვილი (ხუციშვილი), პეტრიაშვილი, მესხი.



უცხოური იუმორი

ჟურნალ „შპორტ იმ ბილდიდან".

შეეშალა...

ფეხბურთის ქრონიკა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შედგა მეორე წრის მატჩები. პოლონეთის „გურნიკმა" საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა „დუკლა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია). ბუქარესტში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და მადრიდის „რეალი". ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „რეალმა".

ჰოლანდიის ჩემპიონმა „ეინდჰოვენმა" ჰააგაში მიიღო ბულგარეთის ქ. პლოვდივის წარმომადგენელი „სპარტაკი". მატჩი მოიგეს ჰოლანდიელებმა — 1:0.

კურიოზული ანგარიშით დამთავრდა მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ლისაბონში. ადგილობრივმა „სპორტინგმა" დაამარცხა კიპროსის გუნდი „აპოელემი" — 16:1(?!).

ამავე გათამაშებაში სტამბოლის „ფენერბახჩემ" მოუგო „ლინფილდს" (ჩრ. ირლანდია) — 4:1.

ინგლისი, 1966 წლის ივლისი

აუქციონი ეწყობა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. საპატივცემულო აუდიტორიის წინაშე გრძელ მაგიდასთან ადგილს იკავებენ მისი ორგანიზატორები და ხანგრძლივი დებატების შემდეგ იღებენ ერთიან გადაწყვეტილებას. თავმჯდომარის „ჩაქუჩის" მესამე დარტყმა ნიშნავს, რომ შეკრება დამთავრებულია და რომ მის წევრებს შეუძლიათ დატოვონ დარბაზი.

მაგრამ ეს აუქციონი არ ჰგავს სხვა დანარჩენებს. აქ არ არის გასაყიდი ნივთი და მყიდველი. აუქციონი, რომლის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, გარკვეულ პირობებს, უფრო ზუსტად ერთ-ერთ რომელიმე ქვეყანას წარმოადგენს და იძლევა მხოლოდ უფლებას. ამ უფლებისათვის იბრძვის სამყაროს ყველა ხუთივე მატერიკი, მაგრამ ვინაიდან უფლება ერთია, იგი რომელიმე ბედნიერის საკუთრება ხდება.

ორიოდე წლის წინ ეს უფლება მოიპოვა ინგლისმა და აუქციონის სხვა დანარჩენმა წევრებმა მხურვალედ დაუკრეს მხარი ამ არჩევანს. თქვენ ალბათ ხვდებით, თუ რა უფლება შეიძინა ბრიტანეთმა. ეს არის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობის უფლება, რომლისთვისაც დიდი ხანია იბრძვის იგი.

ბრიტანეთის კანდიდატურა ბევრი ნიშნით არის გამართლებული, მაგრამ ორ მათგანს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ინგლისი ფეხბურთის სამშობლოა და შემდეგ, მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას ჰქონდა უფლება ეზეიმა ამ უპოპულარულესი თამაშის დაბადების 100 წლისთავი. მაშ ასე, მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში მოეწყობა 1966 წელს ინგლისში.

მსოფლიოს უძლიერესი გუნდების ტურნირი არ არის მხოლოდ სპორტული ღონისძიება, ვინაიდან ჩემპიონატისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ მსოფლიოს ყველა ხალხი. ტურნირი ერთგვარ კომერციულ იერსაც ატარებს. ყოველ შემთხვევაში მისი ორგანიზატორები დგებიან დიდი ფინანსური საკითხების წინაშე, რომლებმაც ბოლოსდაბოლოს მათ უნდა მისცეთ ღირსეული გასამრჯელო. 1962 წლის ჩემპიონატი მიწისძვრებით დაზარალებული ჩილისათვის ერთგვარი ფინანსური მხარდაჭერა იყო, ამიტომ იგი საქველმოქმედო ხასიათსაც ატარებდა.

არც ინგლისის საფეხბურთო ფედერაციაა კარგ დღეში (რომ არაფერი ვთქვათ ცალკეული კლუბების მდგომარეობაზე), ასე რომ, 1966 წლის ჩემპიონატმა მას საგრძნობლად უნდა გამოუსწოროს მდგომარეობა და მოსალოდნელი ფინანსური კრახი გადასწიოს რამდენიმე წლით.

ყოველ ჩემპიონატს წინ უსწრებს ეგრეთწოდებული საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა. ეს არის საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაცია ვეებერთელა შტატით, რომელიც საერთაშორისო ფედერაციასთან კონტაქტში წინასაჩემპიონატო ცხოვრების ერთადერთი და განუკითხავი გამგებელია. მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა, უკვე გაშალა თავისი საქმიანობა. პირველყოვლისა მან დააზუსტა და შეათანხმა (საერთაშორისო ფედერაციასთან) ჩემპიონატის მოწყობის თარიღები. ფინალური ტურნირი დაიწყება ინგლისში 12 ივლისს და დამთავრდება 30 ივლისს.

პირველობისათვის მებრძოლი 16 გუნდის განკარგულებაში იქნება ბრიტანეთის 8 საუკეთესო სტადიონი. მათ შორის წამყვანი ადგილი, რა თქმა უნდა, უჭირავს ლონდონის „უემბლის" სტადიონს, რომელიც 100 ათას მაყურებელს იტევს. „უემბლიზე" შედგება 9 მატჩი ფინალის ჩათვლით. შემდეგ მოდიან „ევერტონის" სტადიონი (78 ათასი მაყურებელი) — 5 თამაში, „სენდერლენდი" (75 ათასი) და „შეფილდ უენსდეი" (73 ათასი) — 4-4 თამაში, „ნიუკასტლი" (68 ათასი), „მანჩესტერ იუნაიტედი" (77 ათასი) და „ასტონ ვილა" (76 ათასი) — 3-3 თამაში. ერთი შეხვედრა გაიმართება ლონდონის „უაიტ-სიტის" სტადიონზე — (75 ათასი).

დადგინდა გადამწყვეტი შეხვედრების თარიღებიც და ადგილებიც.

მეოთხედფინალური თამაშები გაიმართება 23 ივლისს „უემბლიზე", „სანდერლენდზე", „ევერტონზე" და „შეფილდ უენსდეიზე", ნახევარფინალები — 26 ივლისს „უემბლიზე" და „ევერტონზე" და ფინალი 30 ივლისს — „უემბლიზე".

შეხვედრების დაწყება ისეა დაგეგმილი, რომ პირველ ნახევარს მოუსწროს ჩვეულებრივმა, დღის განათებამ, ხოლო მეორე ტაიმს — ხელოვნურმა. შაბათის მატჩები გაიმართება გვიან საღამოს. როგორც ხედავთ, ტურნირის საორგანიზაციო მხარე და კალენდარი უკვე დამტკიცდა. მას სანქცია მისცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ. ახლა საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე დგას სტადიონების კეთილმოწყობის და რეკონსტრუქციის საკითხი. შემდეგ უკვე დღის წესრიგში დადგება ტურისტთა მიღება-დაბინავების, პრესცენტრის მოწყობის ყველაზე უფრო ჭირვეული საკითხი — საერთო ენის გამონახვა ტელეხედვასთან და კინოკომპანიებთან.

ოლიმპიური ქვეყანა

ოლიმპიურ თამაშებში იაპონელებმა პირველად 1912 წელს მიიღეს მონაწილეობა. თუმცა მაშინ ოლიმპიადაზე იაპონია მხოლოდ ორი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და არც რაიმე მიღწევა ჰქონია. მაგრამ შემდგომი ოლიმპიადიდან, რომელიც ანტვერპენში ჩატარდა, იაპონელები სახლში 2 ვერცხლის მედლით დაბრუნდნენ (ორივე მედალი მიიღო ჩოგბურთელმა ი. კუმაგაემ). პირველი ოქროს მედლები იაპონიას მოუტანა 1928 წლის თამაშებმა. ამ წელს მ. ოდამ გაიმარჯვა სამხტომში, ხოლო ი. ცურუტამ 200 მ ბრასით ცურვაში. შემდგომ ორ ოლიმპიადაზე იაპონელებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მათ ორჯერვე მეექვსე ადგილები მოიპოვეს. 1932 წელს იაპონელთაგან ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ჩ. ნამბუ (სამხტომი), მოცურავეები — ი. მიიაზაკი, კ. კიტამურა, ი. ცურუტა და ცხენოსანი ტ. ნიში. 1936 წელს იაპონელთაგან ოლიმპიური თამაშების უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდნენ: სამხტომში — ნ. ტაძიმა, ცურვაში — ნ. ტერადა, ტ. ხამურო, ხ. მაეხატა, მარათონულ რბენაში კი — კ. სონი.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა იაპონია ფაშისტური გერმანიის მოკავშირე იყო, იაპონიაში სპორტული ცხოვრება ჩაკვდა. ომის დამთავრების შემდეგ კი — 1946 წლიდან აქ დაიწყეს ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მაგრამ იაპონელებს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის გზა დაკეტილი ჰქონდათ. ჰიტლერულ გერმანიასთან აქტიური თანამშრომლობის გამო იაპონია 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე არ იქნა დაშვებული. გარკვეული დროის შემდეგ კი იაპონელებს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე გასვლის უფლება მიეცათ. 1951 წელს იაპონელებმა მონაწილეობა მიიღეს აზიის ქვეყნების I თამაშებში (დელი), ხოლო 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში. ამჯერად იაპონელთა მიღწევები ისეთი დიდი არ იყო, როგორც წინა ოლიმპიურ თამაშებში. ჰელსინკში მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა — შ. იშიიმ თავისუფალ ჭიდაობაში მოიპოვა ჩემპიონის წოდება. იმავე ოლიმპიადაზე მართალია მორიდებული, მაგრამ საკმაოდ პერსპექტული სიტყვა სთქვეს ტანმოვარჯიშეებმა. მათი პროგრესი საკმაოდ ნათელი გახდა მელბურნში, სადაც ტ. ონომ ღერძზე ვარჯიშში ოქროს მედალი მოიპოვა, ასევე ოქროს მედლები ხვდათ წილად მოცურავე მ. ფურუკავას, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს — შ. სასახარასა და მ. იკედას.

რომის ოლიმპიადაზე იაპონელები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 1964 წელს ტოკიოში მორიგი ოლიმპიადის ჩატარების გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულები მოვიდნენ. რომში იაპონელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: ტანმოვარჯიშე ტ. ონომ 2 ოქროს მედალი მიიღო, ხოლო ნ. აიხარამ ერთი. ტანმოვარჯიშე ვაჟთა კოლექტივს კი გუნდურ ბრძოლაში ერგო ოქროს მედლები. წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე მოცურავეებმა, ძალოსნებმა და მოჭიდავეებმა.

სურათზე: ტოკიოს ერთ-ერთი შენობა, რომელზეც აღმართულია ოლიმპიური სიმბოლო.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 226.

რედაქტორი ი. უგულავა.

ფეხბურთი

„დინამოს"
სტადიონი
სსრ კავშირის
პირველობა
„ა" კლასი

„დინამო"
(კიევი)-
„დინამო"
(თბილისი)

18 ნოემბერს—დუბლშემადგენლობანი.

19 ნოემბერს — ძირითადი შემადგენლობანი.

მატჩების დასაწყისი 15 ს. 15 წ.

18-19 ნოემბერი

„ბურევესტნიკის" ფიზკულტურის სახლთან მუშაობას დაიწყებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები უფროსი ასაკის მშრომელთათვის. მსურველებს პირობების გაგება შეუძლიათ ყოველდღიურად (კვირის გარდა) 9-დან 17 საათამდე

მისამართი: თბილისი. ს. მ. კიროვის სახ. პარკი, „ბურევესტნიკის" ფიზკულტურის სახლი.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-36-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 11662